პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

..... 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს: ხათუნა არველაძესა და ლაშა შალამბერიძეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2023 წლის 28 დეკემბრის მე-8 სხდომის გადაწყვეტილებით, შეწყვეტილი აქვთ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის უფლებამოსილება;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, 2024 წლის 24 იანვარს, ცნობად მიიღო „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასვლის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დარეჯან ფხაკაძის განცხადება;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, თედო მესხი პირადი განცხადების საფუძველზე, 2024 წლის 2 თებერვალს გადადგა ამ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს: გრიგოლ შუშანიასა და ანა კოხრეიძეს პირადი განცხადებით შეუწყდათ ამ ფრაქციის წევრის უფლებამოსილება 2024 წლის 20 თებერვლიდან.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №13 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს განკარგულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან (8 წევრი):

ა) კილაძე გიორგი;

ბ) მანაგაძე გაგა;

გ) გაბუნია კახაბერ;

დ) ხურციძე ქეთევან;

ე) ქვაჩაკიძე რომან;

ვ) ბიბილეიშვილი ნინო;

ზ) ბახტაძე დავით;

თ) მესხი თედო.“

2. შეიცვალოს განკარგულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ხურციძე ქეთევანი, მანაგაძე გაგა და ბახტაძე დავითი, რომელთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, თედო მესხს ამ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის შრომითი ანაზღაურება შეუწყდეს 2024 წლის 3 თებერვლიდან. მასთან საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

თ.ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია